



გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი

მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების
კატალოგი

საძიებელი

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ.....	3
საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი.....	7
საბანკო	
საქმე.....	16
მასობრივი.....	24
კერძო სამართალი.....	29
სისხლის სამართალი.....	37



გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო სასწავლო უნივერსიტეტი ერთ-ერთი ახალგაზრდა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაა, რომელიც ატარებს (დაფუძნდა 29.05.2008, N204555524), მისი დამაარსებლის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ გურამ თავართქილაძის სახელს.

დაარსებიდან დღემდე შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა ღირებულებებისა და ტრადიციების სისტემა, რომელთაც იზიარებენ და პატივს სცემენ თანამშრომელები და სტუდენტები.

სასწავლო უნივერსიტეტმა თავისი საქმიანობა დაიწყო 6 პროგრამით და 390 სტუდენტით, ამოქმედებიდან მეოთხე 2013 წელს კი წარმატებით გაიარა ინსტიტუციური ავტორიზაცია და პროგრამული აკრედიტაცია, რაც შემდგომი განვითარების სტიმულად იქცა. დღეს გთუნი ახორციელებს 12 პროგრამას, შესაბამისად გაიზარდა სტუდენტების რაოდენობაც.

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო სასწავლო უნივერსიტეტი ერთ-ერთი ახალგაზრდა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაა, რომელიც ატარებს (დაფუძნდა 29.05.2008, N204555524), მისი დამაარსებლის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ გურამ თავართქილაძის სახელს.

დაარსებიდან დღემდე შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა ღირებულებებისა და ტრადიციების სისტემა, რომელთაც იზიარებენ და პატივს სცემენ თანამშრომელები და სტუდენტები.

საერთაშორისო უთიერთობები

საქართველოსა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში სტაბილური ნიშის დამსახურებულად მოპოვების გარდა, გთუნის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება, რისკენაც მეთოდურად და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ.

ახალგაზრდა უნივერსიტეტი გახდა ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტების- Tempus, Erasmus+ ბენეფიციარი და Visegrad Foundation აპლიკანტი..

დაამყარა პარტნიორული ურთიერთობები პადერბორნის უნივერსიტეტთან (გერმანია); ინჰოლანდის უნივერსიტეტთან (ნიდერლანდები); ვარნას თავისუფალ უნივერსიტეტთან (ბულგარეთი); ბრემენჰაფენის უნივერსიტეტთან (გერმანია); ბადენ-ვიურთენბერგის დუალური სწავლების უნივერსიტეტთან (გერმანია); კონსტანტას ოვიდიუსის სახელობის უნივერსიტეტთან (რუმინეთი); ბანსკა-ბისტრიცას მატეი ბელის უნივერსიტეტთან (სლოვაკეთი); ვენტსპილსის უნივერსიტეტთან (ლატვია); ბირმინგემის კოლეჯთან (დიდი ბრიტანეთი), ინგოლშტატის უნივერსიტეტი (გერმანია), პეჩის უნივერსიტეტი (უნგრეთი), ალსტერის უნივერსიტეტთან (ირლანდია), წმიდა გიორგის სახელობის უნივერსიტეტთან (აშშ), EURAC, ევროპული

კვლევის აკადემიასთან (ბოლცანო, იტალია), ლუბლიანას უნივერსიტეტთან (სლოვენია), რიგის ტექნიკურ უნივერსიტეტთან (ლატვია).

სასწავლო უნივერსიტეტი აქტიურად ახორციელებს სტუდენტებისა და პროფესორების გაცვლით პროექტებს პარტნიორ უნივერსიტეტებში.

ინტერნაციონალიზაცია

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა სასწავლო უნივერსიტეტის საერთო სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია და გთუნის ხედვიდან და მისიიდან გამომდინარეობს. გთუნის შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის მიზნები: ორგანიზაციული მართვის ინტერნაციონალიზაცია, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის განვითარება, სტუდენტთა ინტერკულტურული გამოცდილების გამდიდრება და მხარდაჭერა, გლობალიზებულ გარემოში აქტიურობისთვის.

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ახალი დამფუძნებელია ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფი. რომელსაც საგანმანათლებლო დაწესებულებები ჩამოყალიბებული აქვს ჩინეთში, გაერთიანებულ სამეფოში, აშშ-ში, იაპონიაში, სინგაპურში, მალაიზიაში, საქართველოში და სხვ. იგი ცდილობს ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაციას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ეს ყოველივე, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი წინაპირობაა გთუნის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის წარმატებით განვითარებისათვის, როგორც ევროპის, ასევე აზიის სმიმართულებით.

სწავლება და პროგრამები

გთუნის თანამედროვე ფიზიკურ და პროფესიონალურ გარემოში შექმნილია სასწავლო და კვლევითი საქმიანობის წარმატებით განხორციელების ყველა პირობა: უზრუნველყოფილია კვალიფიციური კადრებით, ყველასთვის ხელმისაწვდომი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, მდიდარი თანამედროვე ბიბლიოთეკით, მედია პროექტორებით აღჭურვილი აუდიტორიებით, რადიო და ტელე ლაბორატორიებით, სასამართლო კლინიკით, იურიდიული კლინიკით, კრიმინალისტიკის ლაბორატორიით, სასწავლო ინკუბატორით (GT ბანკი; GT ტურისტული სააგენტო; GT კონსალტინგი); პროფესიული განვითარების ცენტრით; მცირე და დიდი სააქტო დარბაზებით, სპორტული მოედნით, რეკრეაციული სივრცეებით, სტუდენტთა გუნდური მუშაობისათვის გამოყოფილი სივრცეებით, კეთილმოწყობილი ეზოთი და სხვა.

უნივერსიტეტში მოქმედებს ორი ფაკულტეტი:

1. ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი;
2. სამართლის ფაკულტეტი.

ფაკულტეტები უზრუნველყოფენ სტუდენტთათვის მეცნიერების თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნის მიწოდებას თეორიისა და პრაქტიკის ჰარმონიული შერწყმით.

გთუნის, როგორც სასწავლო უნივერსიტეტში, ხორციელდება პირველი და მეორე საფეხურის 12 პროგრამა (11 აკრედიტებული და 1 ავტორიზებულ რეჟიმში) საგანმანათლებლო პროგრამა, კერძოდ:

საბაკალავრო პროგრამები

1. ბიზნესის ადმინისტრირება (მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები)
2. ტურიზმი
3. სამართალი
4. ჟურნალისტიკა
5. ფსიქოლოგია
6. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)
- 7.. ტურიზმი (ინგლისურენოვანი)

სამაგისტრო პროგრამები

1. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი (ავტორიზებულ რეჟიმში)
2. საბანკო საქმე
3. კერძო სამართალი
4. სისხლის სამართალი
5. მასობრივი კომუნიკაცია



ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი (ქართულენოვანი)



პროგრამის სახელწოდება		საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში	
პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებით	120 ECTS	
სწავლების ენა	ქართული	
სწავლების ხანგრძლივობა	მინიმუმ 4 სემესტრი	
სწავლების გადასახადი		
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.თბილისი, სამღერეთის ქ.#5	
პროგრამის ხელმძღვანელი	ზურაბ მუშკუდიანი - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი	
პროგრამაზე წინაპირობა	დაშვების	<p>საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს საერთო სამაგისტრო გამოცდების (B ტესტი) საფუძველზე ან საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობაა:</p> <ul style="list-style-type: none"> • შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში; • უცხო ენის შესაბამის (B2) დონეზე ცოდნის დადასტურება სერტიფიკატით ან გამოცდით. <p>პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტმა მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მოთხოვნათა შესაბამისად.</p>
პროგრამის მიზანი	<ol style="list-style-type: none"> 1. განუვითაროს ღრმა და სისტემური ცოდნა გლობალურ ბიზნეს გარემოში საერთაშორისო კომპანიებზე მოქმედ ფაქტორებზე, ოპერაციული სისტემის ინსტრუმენტებსა და ტექნოლოგიებზე, საერთაშორისო კორპორაციათა ინოვაციური მართვის თანამედროვე ინსტრუმენტებზე; 2. გაულდნაოს საერთაშორისო ბაზარზე კომპანიათა მართვის თანამედროვე მეთოდების, კვლევითი მოდელების გამოყენებისა და მენეჯერული გადაწყვეტილების მიღების უნარი; 3. გლობალურ ბაზარზე მიმდინარე პროცესების, გამოწვევების, ცვლილებების, სტრატეგიების დაგეგმვის, კორპორაციული პორტფელის გამოყენების, სიღრმისეული ანალიზის და მმართველობითი გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი; 4. საერთაშორისო კომპანიების მდგრადი განვითარებისათვის ჩამოყალიბოს ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის, ლიდერობის, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის, კრიტიკული ანალიზისა და შეფასების 	

	<p>უნარი;</p> <p>5. აკადემიური კეთილსინდისიერების და პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით უზრუნველყოს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება, ხელი შეუწყოს სიახლეების სიღრმისეულად ათვისებას, საკუთარი სწავლების მუდმივ სრულყოფას და არგუმენტირებული დასკვნების შემუშავებას;</p>
<p>პროგრამის მოკლე აღწერა</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ECTS -ის 240 კრედიტის დაგროვებას. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას. კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის ერთი კომპონენტის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად.</p> <p>ერთი სასწავლო წელი შედგება ორი, შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან, მოიცავს 38 სასწავლო და სასესიო კვირას, 4 კვირას დამატებითი გამოცდებისათვის (2 კვირა თითოეულ სემესტრში) და 60 კრედიტს.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა ორწლიანია; სემესტრის განმავლობაში ბაკალავრმა სასურველია დაძლიოს საშუალოდ 30 კრედიტი, ხოლო წელიწადში - საშუალოდ 60 კრედიტი, თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.</p> <p>სამაგისტრო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ, აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით, სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არაუმეტეს 6 სემესტრი) განმავლობაში.</p> <p>პროგრამების კურსდამთავრებულთა დიპლომის ხარისხს განსაზღვრავს სრული საგანმანათლებლო პროგრამის GPA. კერძოდ, თუ GPA ტოლია ან მეტი 3.55 გაიცემა წარჩინების, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვეულებრივი დიპლომი.</p>
<p>ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები</p>	<p>110 ECTS</p>
<p>ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები</p>	<p>10 ECTS</p>
<p>სწავლება/სწავლის მეთოდები და ფორმები</p>	<p>ლექცია - შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობს ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი საგნის დებულებათა იდეის გაგება, რაც გულისხმობს გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს გადასაცემი მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი</p>

დეტალებით გადატვირთვის გარეშე. ამიტომ, ის უნდა იყოს ლოგიკურად დასრულებული.

დამოუკიდებელი მუშაობა ლექციაზე მოსმენილი მასალა მთლიანი ცოდნის სისტემად ყალიბდება სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით. სტუდენტს უნდა აღემრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი და საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

ახსნა-განმარტებითი

ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით მიიღწევა ცოდნა და გაცნობიერების კომპეტენცია.

ანალიზის

სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება. აღნიშნული მეთოდით მიიღწევა ანალიტიკური აზროვნების, არგუმენტირებისა და დასკვნების გამოტანის უნარი;

სინთეზის

სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას;

ინდუქციის

სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ. ეს ხელს უწყობს ლოგიკური აზროვნების, ანალიზისა და ცოდნის უნარების გამომუშავებას;

დედუქციის

სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ. ღნიშნულით მიიღწევა ლოგიკური აზროვნების, ანალიზისა და ცოდნის უნარები;

დისკუსია/დებატი

დისკუსია/დებატები – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას, რომლის

შედეგადაც მიიღწევა არგუმენტირებისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები;

ჯგუფური მუშაობის

ჯგუფური (collaborative) მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. აღნიშნული მეთოდის გამოყენება სტუდენტებს გამოუმუშავებთ ჯგუფში მუშაობის უნარ-ჩვევებს, კომუნიკაციის უნარს;

შემთხვევის ანალიზის

შემთხვევის ანალიზი (Case study) - მეთოდი, როდესაც პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს, რაც ხელს უწყობს ლოგიკური აზროვნების, არგუმენტირებისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების გამომუშავებას;

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება - მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია. იგი ხელს უწყობს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს;

დემონსტრირების მეთოდი

დემონსტრირების მეთოდი - ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს ცოდნა-გაცნობიერებისა და კომუნიკაციის უნარების გამომუშავებას;

როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი

როლური და სიტუაციური თამაშები - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს. აღნიშნულისაუკეთესო მეთოდია ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, ცვლილებების პირობებში გადაწყვეტილებათა დამოუკიდებლად მიღების, გუნდური მუშაობის, გუნდის წევრებს შორის ურთიერთსწავლებისა და თანამშრომლობის, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების შესაძენად;

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს სასწავლო კურსის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

გონებრივი იერიში (Brain storming) მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგადად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (Problem Based Learning)

სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას. ამ მეთოდის საშუალებით მიიღწევა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის გმოტანისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი

პროექტზე დაფუძნებული სწავლება (Project-Based Learning)

არის მეთოდი, რომელიც სრულიად განსხვავებულია ტრადიციული სწავლების მეთოდისგან. ის ავითარებს მოსწავლეებში სხვადასხვა უნარებს, კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემის გადაჭრის უნარს და ა. შ. მისი გამოყენება ნებისმიერი სასწავლო კურსის სწავლების დროს ქმნის საინტერესო სასწავლო გარემოს სტუდენტებისთვის. პროექტზე დაფუძნებული სწავლების დროს წინასწარ უნდა იყოს გაწერილი მიზანი, განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალი, მათი შესრულების ვადები, სასწავლო რესურსები, შედეგი, პროექტის აქტივობების შეფასების რუბრიკა, რაც სტუდენტებს დაეხმარება ნამუშევრების შეფასებაში.

გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლის დროს სტუდენტი პროცესის აქტიური მონაწილეა და მთლიანადაა ჩართული მასში. გარედან კი არ აკვირდება მოვლენებს, არამედ უშუალო კავშირი აქვს შესასწავლ საკითხთან. გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება ეწოდება. გამოცდილების შეძენას უნდა მოსდევდეს მისი გააზრება ანუ რეფლექსია. სტუდენტმა უნდა გაიაზროს, რა გადახდა თავს, რა გააკეთა, რა საჭირო იყო ამის გაკეთება, რა სირთულეებს შეეჯახა, რას გააუმჯობესებდა.

გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლა ოთხი კომპონენტისგან შედგება:

1. სტუდენტმა იცის, რა ხდება და რა პროცესში მონაწილეობს, რაც შესაძლებელს ხდის დასწავლას.
2. გაიაზრებს მიმდინარე პროცესის არსს, რისი წყალობითაც აკავშირებს აწმყოს წარსულსა და მომავალთან. ამ კავშირს მოზარდი დაფიქრების გარეშეც გრძნობს.
3. გარემოს, სადაც გამოცდილებას იძენს, მოზარდისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს: მნიშვნელოვანია ისიც, რას სწავლობს და ისიც, როგორ სწავლობს.
4. მთლიანადაა ჩართული სასწავლო პროცესში: სხეულით, ფიქრებით, გრძნობებითა და მოქმედებით.

სოკრატესული მეთოდი (ასევე ცნობილი როგორც **მეთოდი Elenchus , elenctic მეთოდი** , ან **სოკრატეს დებატების**) არის ფორმა

კოოპერატივის არგუმენტირებული დიალოგის პირებს, საფუძველზე ითხოვს და კითხვებზე პასუხის სტიმულირება კრიტიკული აზროვნების და მიაპყროს იდეები და ფუძემდებლური presuppositions . ეს სახელობის კლასიკური ბერძნული ფილოსოფოსი სოკრატე და გააცნო მის მიერ პლატონის 's Theaetetus როგორც მეანობის (maieutics) იმიტომ, რომ იგი გამოიყენება თანამოსაუბრეთა რწმენებში ნაგულისხმევი დეფინიციების გამოსატანად ან მათ გაგებაში დასახმარებლად. სოკრატული მეთოდი არის ჰიპოთეზების აღმოფხვრის მეთოდი, რადგან უკეთესი ჰიპოთეზების პოვნა ხდება იმ სტაბილურად იდენტიფიცირებით და აღმოფხვრით, რაც იწვევს წინააღმდეგობებს.

პრაქტიკული მეთოდები აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, მაგალითად: პროფესიული პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.

პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას

წერილობითი დავალება ტესტი/ქვიზი გულისხმობს გონებრივი და პრაქტიკული აქტივობების (სამუშაოების) მრავალჯერად გამეორებას პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენის ან განვითარების მიზნით.

ამოცანების ამოხსნა - კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობისას პედაგოგი ყურადღებას ამახვილებს ამოცანათა გადაწყვეტის მეთოდიკაზე, ნახაზების, სქემების შესრულებაზე, გაანგარიშებებში შესაბამისი ტექნიკის გამოყენებაზე.

საშინაო დავალების შესრულება - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა, რომლის დროსაც ხდება სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესით განსაზღვრული და სასწავლო პროცესში მიღებული საშინაო დავალებების შესრულება. საშინაო დავალების შესრულება გულისხმობს სასწავლო პროცესით გათვალისწინებული მასალის წაკითხვა, დამუშავებასა და შესწავლას ასევე მიღებული დავალებების წერილობით შესრულებას ან ზეპირ ფორმით წარმოდგენას.

	<p>ელექტრონული სწავლება (E-learning) – ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს: • დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით. • ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში. 19 • მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას ლექტორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს.</p>
შეფასების მექანიზმი	<p>სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შეფასების სისტემა ეყრდნობა კანონმდებლობით აღიარებულ სისტემას და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასებისა და კრედიტის მინიჭების სტანდარტებს.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს:</p> <p>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>ა.ა) (A) ფრიადი– შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>ა.ბ) (B) მალიან კარგი– მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>ა.გ) (C) კარგი– მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი– მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>ა.ე) (E) საკმარისი– მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.</p> <p>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა– მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>ბ.ბ) (F) ჩაიჭრა– მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.</p>
სწავლის შედეგები	<p>ცოდნა და გაცნობიერება:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ახდენს სისტემური ცოდნის სიღრმისეულად განხილვას საერთაშორისო ბიზნესის შემდეგ სფეროში: საერთაშორისო ეკონომიკა, სტრატეგიული მარკეტინგი, საერთაშორისო ოპერაციები, მომარაგების ჯაჭვი, საერთაშორისო კორპორაციათა ფინანსები და საინვესტიციო პოლიტიკა. 2. სიღრმისეულად აღწერს საერთაშორისო ბაზარზე კომპანიათა სტრატეგიებს, ქცევის მოდელს, დაგეგმვის ინსტრუმენტებსა და თავისებურებებს, მოგების მისაღებად კომპანიის რესურსების

გამოყენებას მათ ფინანსურ მაჩვენებლებს;

უნარი:

3. მულტიდისციპლინურ გარემოში, ანალიტიკური და კრიტიკული კვლევის შედეგების იდენტიფიცირებისთვის იყენებს კვლევის უახლეს მეთოდებს და მიდგომებს;
4. ლიდერობის სტრატეგიებისა და მოდელების გამოყენებით აფასებს ცვალებად ბიზნეს გარემოში მიმდინარე მოვლენებს, ცვლილებების მოთხოვნას და კომპანიის მზადყოფნას ცვლილებების განსახორციელებლად, საერთაშორისო კომპანიების საქმიანობის შედეგებს, მათ ფინანსურ მდგომარეობას, კორპორაციულ-სოციალური პასუხისმგებლობას, ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის პოლიტიკას, ოპერაციულ სტრატეგიებს ;
5. კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით განსაზღვრავს კორპორაციული პორტფელის სტრუქტურულ ალტერნატივებს და შეიმუშავებს სათანადო მენეჯერულ გადაწყვეტილებებს;
6. აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას საკუთარი დასკვნების, არგუმენტებისა და კვლევის შედეგების დემონსტრირებას როგორც ზეპირი ისე წერილობითი ფორმით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

7. პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი რეგულაციების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად იღებს დასაბუთებულ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს;
8. იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი და გუნდის წევრების პროფესიულ განვითარებაზე.

დასაქმების სფერო

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში - ხარისხის მიღების შემდგომ, ბაკალავრს საქმიანობა შეუძლია განახორციელოს ბიზნესისა და ეკონომიკის როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სტრუქტურებში. ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის სფეროა ბიზნესისა და ეკონომიკის რეალური სექტორი, საბანკო სისტემა, სადაზღვევო ორგანიზაციები, ტურიზმის სერექტორი, კომერციული და/ან არაკომერციული ორგანიზაციები. ბაკალავრს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საწარმოთა და მათ ქვედანაყოფთა მარკეტინგულ მართვაში, მარკეტინგული კვლევებში, მარკეტოლოგის/მარკეტინგის მენეჯერის ასისტენტის, თანაშემწის, მარკეტინგის სპეციალისტის, გაყიდვების მენეჯერის და სხვა შესაბამის პოზიციებზე; მონაწილეობა მიიღოს კომპანიის სტრატეგიის განხორციელების, მარკეტინგული გეგმის, მარკეტინგული სტრატეგიებისა და ღონისძიებების შეიმუშავების პროცესში.

ზემოთ აღნიშნულ სტრუქტურებსა და მათ ქვედანაყოფებში ბაკალავრი შეუძლია დასაქმდეს მარკეტინგის მენეჯერის თანაშემწის, გაყიდვების მენეჯერის, მარკეტინგის სპეციალისტის, ბრენდ მენეჯერის ასისტენტის და სხვა შესაბამის პოზიციებზე;

ზემოთ აღნიშნულ სტრუქტურებსა და მათ ქვედანაყოფებშიბაკალავრი შეუძლია დასაქმდეს ფინანსური რესურსების მართვაში, დაგეგმვასა და ორგანიზებაში ქვედა ან შუალედურ რგოლში ფინანსური მემენეჯერის თანაშემწედ, სპეციალისტად, ფინანსურ კონსულტანტად და სხვა შესაბამის პოზიციებზე

პროგრამის კურსდამთავრებულს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში, ან დაეუფლოს კვალიფიკაციის ამაღლების სხვა პროგრამებს.



პროგრამის სახელწოდება	საბანკო საქმე Banking
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბანკო საქმეში – Master of Business Administration in Banking
პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებით	120 ECTS
სწავლების ენა	ქართული
სწავლების ხანგრძლივობა	მინიმუმ 4 სემესტრი
სწავლების გადასახადი	2250 ლარი
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.თბილისი, სამღერეთის ქ.#5
პროგრამის ხელმძღვანელი	პროფესორი ამირან თავართქილაძე
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<p>საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, გაწერილია გთუნი-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, საჯაროდ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.</p> <p>საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის უფლების მოპოვება ხდება:</p> <p>ჩარიცხვის პირობები:</p> <p>საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს საერთო სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე ან საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.(საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 52).</p> <p>სამაგისტრო პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობაა:</p> <ul style="list-style-type: none"> • შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში; • უცხო ენის შესაბამის(B2) დონეზე ცოდნის დადასტურება სერტიფიკატით ან გამოცდით. <p>პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტმა მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მოთხოვნათა შესაბამისად.</p>
პროგრამის მიზანი	<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, ფასეულობებს, მიზნებსა და ამოცანებს.</p> <p>წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კონკურენტუნარიანი საბანკო-საფინანსო საქმიანობის სპეციალისტების მომზადება. .</p> <p>პროგრამამ სტუდენტს უნდა მისცეს:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ საბანკო ურთიერთობათა სფეროში სიღრმისეული თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის ცოდნა; საფინანსო გარემოს და მასში მიმდინარე პროცესების ანალიზის მეთოდების ცოდნა; ▪ ფულად საკრედიტო და სავაჭრო, პოლიტიკის ეფექტიანი

	<p>სტრატეგიების განსაზღვრისათვის სამართლებრივად სწორი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების უნარი;</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ საბანკო სისტემის სფეროში; კომერციული ბანკების ლიკვიდობის და კლიენტის გადახდისუნარიანობის შეფასების უნარის გამომუშავება. ▪ ჩამოყალიბოს კვლევითი სამუშაოს შესრულებაში კრიტიკული ანალიზის, კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით დაგეგმვის და სამეცნიერო ცოდნის გამოყენების უნარი; რთული, არასრული და ასიმეტრიული მონაცემების კრიტიკული შეფასების უნარი, მათი დამოუკიდებელი ანალიზისა და შედეგების განზოგადოება/გადმოცემის უნარი. ▪ ეთიკის პრინციპების დაცვა კოლეგებთან ურთიერთობაში. შეეძლოს მულტიკულტურულ ფასეულობათა პატივისცემა და სხვადასხვა ქვეყნების მორალური, ეთიკური და სამართლებრივი ნორმების გაცნობიერება და საბანკო-საფინანსო ინსტიტუტებში მათი დაცვა. <p>საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, სწავლების/შეფასების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები არის რეალისტური და მიღწევადი, საჯარო და ხელმისაწვდომი.</p>
<p>პროგრამის მოკლე აღწერა</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ECTS -ის 240 კრედიტის დაგროვებას. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას. კრედიტი დროს ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის ერთი კომპონენტის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად.</p> <p>ერთი სასწავლო წელი შედგება ორი, შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან, მოიცავს 38 სასწავლო და სასესიო კვირას, 4 კვირას დამატებითი გამოცდებისათვის (2 კვირა თითოეულ სემესტრში) და 60 კრედიტს.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა ორწლიანია; სემესტრის განმავლობაში ბაკალავრმა სასურველია დაძლიოს საშუალოდ 30 კრედიტი, ხოლო წელიწადში - საშუალოდ 60 კრედიტი, თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.</p> <p>სამაგისტრო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ, აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით, სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არაუმეტეს 6 სემესტრი) განმავლობაში.</p> <p>პროგრამების კურსდამთავრებულთა დიპლომის ხარისხს განსაზღვრავს სრული საგანმანათლებლო პროგრამის GPA. კერძოდ, თუ GPA ტოლია ან მეტი 3.55 გაიცემა წარჩინების, წინააღმდეგ შემთხვევაში</p>

	ჩვეულებრივი დიპლომი.
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები	99 ECTS
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები	21 ECTS
სწავლება/სწავლის მეთოდები	<p>უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები ეყრდნობა თანამედროვე დიდაქტიკურ კონცეფციებს და წარმოაჩენს კავშირურთიერთობის ხარისხს, პედაგოგისა და სტუდენტის ეფექტიან საქმიანობასა და საბოლოოდ, სწავლის შედეგების წარმატებით მიღწევის შესაძლებლობებს. სწავლების მეთოდოლოგიური საფუძვლებია: სწავლების თანამედროვე მეთოდები, განმავითარებელი სწავლება, სტუდენტთა ჩართულობა, სწავლების სისტემურობა და სისტემატურობა, სწავლების კავშირი პროფესიულ პრაქტიკასთან, საგანთშორისი კავშირების გათვალისწინება. პროგრამის განხორციელების პროცესში გამოიყენება სწავლების როგორც კლასიკური (ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი), ისე თანამედროვე მეთოდები და მათი კომბინაცია.</p> <p>სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება მიზნად ისახავს კომპეტენციების გამომუშავებას და არა მზა ცოდნის მიღებას. სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენება სტუდენტს აქცევს სწავლების რეალურ სუბიექტად. პროგრამით გათვალისწინებულია სწავლების ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება. სწავლების პროცესის მაღალ დონეზე წარმართვის, სტუდენტთა აქტიურად ჩართულობის უზრუნველყოფისათვის გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აქტიური და ინტერაქტიური მეთოდების გამოყენებას, რაც სტუდენტს აქცევს სწავლების რეალურ სუბიექტად. ამ მეთოდების დანიშნულებაა სწავლება, როგორც შემეცნების ერთობლივი პროცესი, როდესაც ცოდნა მიიღწევა ერთობლივი საქმიანობით დიალოგის, პოლილოგის მეშვეობით. ეს მეთოდები განსხვავდება სწავლების ჩვეული მეთოდებისაგან და აყალიბებს თეორიის გაცნობიერების ახალ გამოცდილებას მისი უშუალოდ სწავლის პროცესში გამოყენების გზით.</p> <p>ინტერაქტიული სწავლების ფორმები და მეთოდები უადრესად მრავალფეროვანია, რომელთა შერჩევა, დამუშავება და გამოყენება ლექტორს შეუძლია აკადემიური თავისუფლების ფარგლებში თავისი შეხედულებისამებრ.</p> <p>ამასთან, ყველაზე ხშირად გამოყენებული აქტიური/ინტერაქტიური ტექნოლოგიებია.</p> <p>პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლება-სწავლის მრავალფეროვანი მეთოდები, მათ შორის:</p> <p>ლექცია: ლექციის უმთავრესი მიზანია შესასწავლი დისციპლინის</p>

იდის გახსნა, საგნის არსის და ძირითადი სამეცნიერო პრობლემის გაცნობიერება. ლექციამ უნდა უზრუნველყოს კურსის ძირითადი ცნებების მეცნიერული და თანმიმდევრული გაცნობა, განვითარება და ლოგიკურ დასკვნებამდე მისვლა. ლექციის ეფექტიანობას ხელს უწყობს ფაქტების, მაგალითების, სქემების, ვიდეო-მასალის დემონსტრირება. ლექცია უმეტესად ინტერაქტიურია.

პრაქტიკული მეცადინეობა/ჯგუფში მუშაობა: ლექციის თეორიული მასალის ათვისება და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება ხდება ჯგუფში პრაქტიკული მეცადინეობების მეშვეობით. სწორედ ამ ტიპის მეცადინეობებზე იღრმავებს სტუდენტი ლექციაზე მიღებულ ცოდნას. ლექტორის ან პრაქტიკული მეცადინეობის წამყვანი პედაგოგის მითითებების საფუძველზე სტუდენტი/სტუდენტთა ჯგუფი ამუშავებს დამატებით მასალას, აკეთებს პრეზენტაციას, წერს ტესტს/ქვიზს, ერთვება სემინარულ მუშაობაში, დისკუსიაში, მუშაობს ქეისზე, წიგნზე, სტატისტიკურ მასალაზე, სტატიაზე და ა.შ., პრაქტიკულ მეცადინეობის ფორმებს ირჩევს ლექტორი.

დამოუკიდებელი მუშაობა: ლექციაზე მოსმენილი მასალა ცოდნის სისტემად სტუდენტს უყალიბდება მის მიერ გაწეული დამოუკიდებელი მუშაობის შედეგად. დამოუკიდებელი მუშაობა წარმოადგენს სტუდენტის დამოუკიდებელი აზროვნების და ანილიტიური უნარის სტიმულირების ხერხს. დამოუკიდებელი საქმიანობის პროცესში ის ეცნობა და ამუშავებს სხვადასხვა წყაროებს, აგროვებს და მართავს ინფორმაციას, სწავლობს სხვადასხვა საკითხებს, ეჩვევა კრიტიკულ მიდგომებს, დასკვნების გამოტანასა და გადაწყვეტილებების მიღებას.

კონსულტაცია/ტუტორიალი: კონსულტაციისთვის განკუთვნილ დროს ხორციელდება სტუდენტებთან როგორც ჯუფური, ისე ინდივიდუალური მუშაობა. კონსულტაციების მიზანია სწვლების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების აღმოფხვრა, მაგალითად ობიექტური მიზეზების გამო სილაბუსის გრაფიკიდან ჩამორჩენა, მიცემული თეორიული მასალის არასათანადოდ გაცნობიერება, შეუსრულებელი დავალებების აღდგენა და სხვა; აგრეთვე, დამატებითი მასალის განხილვა, რეფერატის და/ან საკონფერენციო თემის დამუშავება, სტუდენტთა ინიციატივების განხილვა, მიღწეული შედეგების გაანალიზება და რეკომენდაციები, სტუდენტთა მოტივირების ინიცირება და სხვა. კონსულტაციები შეიძლება განხორციელდეს დისტანციურადაც. ჩვენ მივესალმებით, როდესაც კონსულტაციები ინიცირებულია პროფესორების მიერ. კონსულტაციების გრაფიკი სტუდენტებს ეცნობებათ სილაბუსთან ერთად და საჯაროა.

ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით მიიღწევა ცოდნა და გაცნობიერების კომპეტენცია.

ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება. აღნიშნული მეთოდით მიიღწევა ანალიტიკური აზროვნების, არგუმენტირებისა და დასკვნების გამოტანის უნარი; სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას;

დისკუსია/დებატების დისკუსია/დებატები – ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას, რომლის შედეგადაც მიიღწევა არგუმენტირებისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები;

ჯგუფური მუშაობის ჯგუფური (collaborative) მუშაობა – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. აღნიშნული მეთოდის გამოყენება სტუდენტებს გამოუმუშავებთ ჯგუფში მუშაობის უნარჩვევებს, კომუნიკაციის უნარს; შემთხვევის

ანალიზის (Case study) – მეთოდი, როდესაც პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს, რაც ხელს უწყობს ლოგიკური აზროვნების, არგუმენტირებისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების გამომუშავებას; გონებრივი იერიში (Brain storming) – ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. ამ დროს სტუდენტებს უმუშავდებათ ლოგიკური აზროვნების, არგუმენტირების, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ღირებულებებისა და მყისეული გადაწყვეტილებების მიღების უნარები;

პრეზენტაციის მომზადება – მეთოდი (ვიზუალური, ვერბალური) გამოიყენება, რათა მრავალმხრივ, ეფექტურად და თვალსაჩინოდ წარმოჩნდეს დამუშავებული თუ წინასწარ შესრულებული მასალა. ამ გზით სტუდენტებს გამოუმუშავდებათ კომუნიკაციის უნარჩვევები; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია. იგი ხელს უწყობს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს; დემონსტრირების მეთოდი – ეს

მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. აღნიშნული მეთოდი ხელს

უწყობს ცოდნა-გაცნობიერებისა და კომუნიკაციის უნარების გამომუშავებას; როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს. აღნიშნული საუკეთესო მეთოდია ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, ცვლილებების პირობებში გადაწყვეტილებათა დამოუკიდებლად მიღების, გუნდური მუშაობის, გუნდის წევრებს შორის ურთიერთსწავლებისა და თანამშრომლობის, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების შესაძენად; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას. ამ მეთოდის საშუალებით მიიღწევა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის გამოტანისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი;

ელექტრონული სწავლება (E-learning) – ეს მეთოდი მოიცავს სწავლების 2 სახეს:

- დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს აუდიტორიაში, პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, როცა სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული (გაკვეთილის, მაგალითის, პირდაპირი ჩართვის, სემინარის რეპორტაჟის და სხვა) სასწავლო კურსის საშუალებით.
- ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ერთი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მეორე ნაწილი ხორციელდება აუდიტორიაში, უშუალოთ საკონტაქტო საათების ფარგლებში.

შენიშვნა: თითოეულ სასწავლო კურსში/კომპონენტში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები დეტალურადაა მოცემული შესაბამისი კურსის/კომპონენტის სილაბუსში

შეფასების მექანიზმი

სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შეფასების სისტემა ეყრდნობა კანონმდებლობით აღიარებულ სისტემას და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასებისა და კრედიტის მინიჭების სტანდარტებს.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

	<p>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა– მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>ბ.ბ) (F) ჩაიჭრა– მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.</p>
სწავლის შედეგები	<p>პროგრამის სწავლის შედეგებში ასახულია საქართველოს შრომის ბაზრისა და პოტენციური დამსაქმებლების მოთხოვნები, ასევე, საფინანსო, საბანკო-საკრედიტო სექტორში სწავლა-სწავლებისა და კვლევების მსოფლიოში არსებული პრაქტიკა, რისთვისაც გაანალიზდა საფინანსო, საბანკო-საკრედიტო 6 საგანმანათლებლო პროგრამების განმხორციელებელი პარტნიორი უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამები;</p> <p>ამდენად, პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ექნება საფინანსო, საბანკო-საკრედიტო სექტორში საქმიანობისთვის საჭირო ცოდნა და უნარები.</p> <p>სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს სასწავლო კურსის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნის გათვითცნობიერებას, უნარებს და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას; შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და შესაბამის დონეს;</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს საბანკო სფეროსათვის აუცილებელ ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების განვითარებას. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს გააჩნია შემდეგი კომპეტენციები:</p> <p>ცოდნა და გაცნობიერება:</p> <ol style="list-style-type: none"> I. აღწერს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში ფინანსური ინსტიტუტების როლსა და მნიშვნელობას; საბანკო საფინანსო ურთიერთობათა სფეროში უახლეს თეორიულ და კვლევაზე დამყარებულ ღრმა სისტემურ ცოდნას, უახლეს თეორიებსა და კონცეფციებს. II. ახდენს ბანკის საკრედიტო პოლიტიკასა და სტრატეგიის კლასიფიცირებას, კლიენტთა კრედიტუნარიანობის, საბანკო ოპერაციების, ბიზნეს-პროცესთა მოქმედებათა რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს. III. განაზოგადებს საბანკო საქმიანობის სფეროში მიმდინარე კონკრეტულ სიტუაციებს და მის გარშემო არსებულ ინფორმაციას, თანამედროვე საბანკო საქმიანობაში სტრატეგიული გადაწყვეტილებების მნიშვნელობას;

	<p>უნარები:</p> <p>IV. ახარისხებს, თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენებით საბანკო - საფინანსო ურთიერთობათა სფეროში არსებულ სტატისტიკურ და საპროგნოზო რთულ ასიმეტრიულ და წინააღმდეგობრივ მონაცემებს, მოვლენებსა და პროცესების მახასიათებლებს. აკავშირებს მათ და იყენებს პრაქტიკაში;</p> <p>V. აყალიბებს ბანკის საფინანსო პოლიტიკისა და სტრატეგის შესაბამის ბანკის ფინანსური მდგომარეობის, მოგება-ზარალის მიღების ალბათობის და საბანკო რისკების წარმოქმნის შესაძლობათა კონცეფციებს.</p> <p>VI. აკავშირებს საქართველოს საბანკო სექტორში მიმდინარე პროექტებს, მოვლენებსა და სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს საერთაშორისო ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებთან; პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:</p> <p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:</p> <p>VII. განსაზღვრავს საკუთარი და სხვისი სწავლის მომავალ საჭიროებას.</p> <p>VIII. აფასებს საფინანსო-საბანკო სფეროში კეთილსინდისიერების, სამართლებრივი მოქმედებების დაცვის, მენეჯერული გადაწყვეტილებების, პროფესიულ ეთიკასა და საერთაშორისო სტანდარტებს.</p>
დასაქმების სფერო	<p>საბანკო საქმის - სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროს წარმოადგენს საბანკო, მიკროსაფინანსო, სადაზღვევო, სააუდიტო ან/და სხვა საფინანსო დაწესებულებები აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლების მსურველთა ერთი ნაწილი უკვე მუშაობს საბანკო, მიკროსაფინანსო ან/და სხვა საფინანსო დაწესებულებებში და სურთ პროფესიული ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება. გარდა ამისა, ჩვენი უნივერსიტეტის საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მაგისტრანტების 90 პროცენტი დასაქმებულია სწავლების პირველ და მეორე წელს; პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო და სამეცნიერო კომპონენტებს. იგი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს განახორციელოს ინდივიდუალური სასწავლო პროფილის ფორმირება, როგორც სასწავლო დისციპლინების, ასევე კვლევის მიმართულების არჩევის გზით.</p>

პროგრამის სახელწოდება	მასობრივი კომუნიკაცია Mass Communication
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი მასობრივ კომუნიკაციაში (Master of Social Sciences in Mass Communication)
პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებით	120 ECTS
სწავლების ენა	ქართული
სწავლების ხანგრძლივობა	4 სემესტრი
სწავლების გადასახადი	2250 ლარი
პროგრამის განხორციელების ადგილი	შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
პროგრამის ხელმძღვანელი	მარინე ვეკუა, პროფესორი marine.vekua@gttu.edu.ge
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<p>მასობრივი კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს საერთო სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე ან საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობაა:</p> <ul style="list-style-type: none"> • შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში; • უცხო ენის შესაბამის დონეზე (B2) ცოდნის დადასტურება სერტიფიკატით ან გამოცდით.
პროგრამის მიზანი	<ol style="list-style-type: none"> 1. შეძინოს მასობრივი და სტრატეგიული კომუნიკაციების თეორიებისა და კონცეფციების სიღრმისეული ცოდნა. 2. შეასწავლოს სოციალური მეცნიერებების თანამედროვე მეთოდოლოგია შემდგომში მედიაკვლევების ჩატარების მიზნით. 3. გამოუმუშავოს საზოგადოებისათვის აქტუალური პრობლემატიკის მქონე ანალიტიკური მედიაპროდუქტის მომზადებისა და მულტიმედიურ პლატფორმაზე განლაგების უნარი. 4. ჩამოუყალიბოს რესპოდენტთან, აუდიტორიასთან, წყაროსთან პროფესიული კომუნიკაციის ადექვატური და ოპტიმალური ხერხების გამოყენების უნარი. 5. განსაზღვროს საკუთარი/სხვისი სასწავლო პროცესის მოთხოვნები და მართვის მექანიზმები. 6. მასობრივი კომუნიკაციის სფეროში გააცნობიეროს ეთიკური და პროფესიული სტანდარტების მნიშვნელობა და მათი დაცვა.
პროგრამის მოკლე აღწერა	<p>საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ECTS -ის 120 კრედიტის დაგროვებას. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას. კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის ერთი კომპონენტის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად.</p> <p>ერთი სასწავლო წელი შედგება ორი, შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან, მოიცავს 38 სასწავლო და სასესიო კვირას, 4 კვირას დამატებითი გამოცდებისათვის (2 კვირა თითოეულ სემესტრში) და 60 კრედიტს.</p>

